საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი 14.02.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:
გაიანე სიმონია – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
ანა კლდიაშვილი - სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
დავით კახნიაშვილი – საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭიღლაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია – ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.
ივანე ალავიძე - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი – გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ლ. ღოღელიანი

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1.ნანი ყაზიშვილი-შარუხია - სპს - „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“-ის დირექტორი;
2. ელზა ლეკვეიშვილი - შპს - ნ & ნ 2000-ის დირექტორი;
3. ნინო მიქაძე - შპს - ნ & ნ 2000-ის დირექტორის მოადგილე;
4. მაია ჩუბინიძე - შპს - ნ & ნ 2000-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი;
5. დავით ზარნაძე - შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის დირექტორი;
6. ნინო ვახარიშვილი - შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
7. ნინო თევზაძე - შპს - თბილისის აკადემიური სკოლის დირექტორი;
8. ნინო ბურჯალიანი - შპს - თბილისის აკადემიური სკოლის დირექტორის მოადგილე;
9. შორენა ნოდარიშვილი - ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
10. გოჩა ურუშაძე - შპს - სკოლა ოპიზას დირექტორის მოადგილე;
11. ბილალ თექინი - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორი;
12. ნინო მირიანაშვილი - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე;
13. თეა აფრასიძე - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის თარჯიმანი;
14. მარინა ბერძენიშვილი - შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის წარმომადგენელი;
15. ეკა მამიაშვილი - შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის წარმომადგენელი;
16. ლია გოჩაშვილი - შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის წარმომადგენელი;
17. ნუნუ ბეიტრიშვილი - სპს - პრომეთეს დირექტორის მოადგილე;
18. ცისია სუხიაშვილი - შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის დირექტორი;
19. მთვარისა ბუღაძე - შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის საქმის წარმოების მენეჯერი;
20. მარინა გოგოლაძე - შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის კოორდინატორი;
21. ლალი ზარანდია - შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საერო სასწავლებელი მარჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი, მონიტორინგის ჯგუფის წევრი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:32 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სპს - „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
3. შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი-თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
6. შპს - სკოლა ოპიზას ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
7. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
8. შპს - კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
9. სპს - პრომეთეს ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
10. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
11. შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ მარჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
12. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

• შპს - ქუთაისის კერძო სკოლა ახალი თაობა;
• შპს - ,,ილია'' - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო

დაწესებულება;
• სპს - საერო მრავალპროფილიანი მესამე საფეხურის სკოლა ლია ერქვანია;
• ა(ა)იპ - ინვალიდთა სოციალური დახმარების ფონდი ახალი სიცოცხლე;
• შპს - აია-ჯესი;
• შპს - პითაგორა-2009;
• შპს - ნანა;
• სპს - ბაგრატიონთა სახელობის კერძო სასწავლებელი სემე და - ლუკავა;
• შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა ,,აიეტი'';
• შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
• სპს - ფემიდა;
• შპს - თელავის ერეკლე მეფის სახელობის გიმნაზია;
• ა(ა)იპ - მზრუნველობას მოკლებულ ობოლ და ინვალიდ ბავშვთა სარეაბილიტაციო სასწავლო ცენტრი იმედი;
• შპს - არგო;
• შპს - მარი ბროსეს სკოლა;
• შპს - ცოდნა (212707962).

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სპს - „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“-ს ექსპერტთა ვიზიტის დროს არ დაუდასტურდა ფართის ფლობა.

1.2 დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ბიოლოგიაში ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარით: ჰერბარიუმები, ქიმიური ხელსაწყოები, ფრინველის ანატომიური აგებულება, ადამიანის თავის, ხელის, ხერხემლის მალებისა და თავის ქალის აგებულებები და სხვა. ამასთან ერთად, დაწესებულებას შპს ,,ჯეო დეკორთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის შეძენაზე (208 დასახელება, 12000 ლარის ღირებულების). სკოლას გადახდილი აქვს 3000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხის დაფარვის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 31 დეკემბერი.

1.3 სკოლას შპს ,,ჯესკო ჯგუფთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ვიდეოსათვალთვალო კამერების დამონტაჟებაზე, სკოლამ წარმოადგინა გადახდის ქვითარი (2000 ლარი).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, სკოლა ფლობდა 400 კვ.მ. არასასოფლო მიწას და შენობის მე-2 და მე-3 სართულზე არსებულ 788.08 კვ.მ. ფართს 6 წლის ვადით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ფურცხვანიძემ, საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა სახელწოდება, კერძოდ, ნაცვლად სპს - „ხელოსანი 95”-სა ეწოდა სპს - „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95”, თუმცა საჯარო რეესტრში მოიჯარედ ძველი სახელწოდებით ფიქსირდება. დამატებით, ეცნობა საბჭოს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრსა და საჯარო რეესტრში ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო კოდი ფიქსირდება.

ცენტრის წარმომადგენლის, რევაზ ხოფერიას, განმარტებით, სამართლებრივად პრობლემა არ იყო, რადგან საიდენტიფიკაციო კოდი ადასტურებს, რომ საქმე ერთი და იმავე იურიდიული პირთან გვაქვს.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შპს - ,,ჯეო დეკორთან“ გაფორმებული დამატებითი შეთანხმების შესახებ დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, თანხის გადახდის გადავადება მოხდა 2012 წლის 15 აპრილამდე.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს იყო თუ არა ექსპერტთა ვიზიტის დროს კამერები დამონტაჟებული სკოლაში.

სკოლის დირექტორის განმარტებით, თავად მომწოდებელმა კომპანიამ დააგვიანა დამონტაჟება და ამდენად, ექსპერტებს არ უნახავთ ისინი. დირექტორმა წარმოადგინა კამერების შესყიდვის შესახებ დოკუმენტაცია, რომლიდანაც დადგინდა, რომ კამერები კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება. საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 164-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ მერხების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 102 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ნანა ჭიღლაძემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ავტორიზაციის მიზნებისათვის ორადგილიანი მერხები ითვლება ინდივიდუალურ მერხებად.

დავით კახნიაშვილის განმარტებით, საბჭო სხვაგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდადა გამონაკლისს ვერ დაუშვებდა, რადგან დამკვიდრებული პრაქტიკით, სკოლას მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსი უნდა გააჩნდეს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან სპს - „დაგმარა ცანავა ხელოსანი 95“-ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 102-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - დაგმარა ცანავა ხელოსანი 95-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 102-ით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტი საათობრივი ბადე არასრულყოფილია, კერძოდ იგი არ შეიცავს IX, XI და XII კლასების შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

1.2 გაკვეთილების ცხრილში დაფიქსირებულია კვირის რომელ დღეს, დროის რომელ მონაკვეთში რომელი სავალდებულო საგანი ისწავლება და ვინ არის პედაგოგი, თუმცა არ ჩანს დამატებითი საგნების სწავლების დღეები, საგნების და პედაგოგების მიხედვით, მაგრამ დამატებითი საგნები შეტანილია ცხრილში და სკოლის სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ცალკე.

1.3 სკოლაში სასწავლო პროცესი 9^{00}-ზე იწყება, თითოეული გაკვეთილი 45 წუთიანია, ყველა დასვენება 5 წუთიანია, მხოლოდ II და IV გაკვეთილების შემდეგ არის 10 წუთიანი შესვენებები, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (2010-2011 სასწ.წელი, "სასწავლო დღისა და გაკვეთილის ხანგრძლივობა", გვ. 44). სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით 12^{45} საათიდან სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს აქვთ კვება. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს არაა შეტანილი სკოლის სასწავლო გეგმაში, თუმცა არის ცალკე დირექტორის ბეჭდით დამტკიცებული გაკვეთილების განრიგი.

1.4 ინგლისური ენა ისწავლება I კლასიდან, ხოლო მეორე უცხო ენა რუსული VII კლასიდან. III-IV კლასებში, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი ისწავლება რუსული ენა, რაც წინააღმდეგობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გამომდინარე იქედან, რომ რუსული ენა, როგორც უცხო ენა, არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით.

1.5 სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხა განხილულია და მიღებულია საგნობრივი კათედრების სხდომებზე, ის არ არის დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ.

1.6 2011 წლის 19 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს №1 ოქმით მიღებულია და დამტკიცებულია სკოლის სასწავლო გეგმა, რითაც დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი. შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია: დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების ჩამონათვალი. სასკოლო სასწავლო გეგმით ხდება საათობრივი დატვირთვის დაზუსტება. სკოლის სასწავლო გეგმაში არ არის შეტანილი სასკოლო სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების მიხედვით, რითაც ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის აღწერილი კლასგარეშე ღონისძიებები (მოსწავლეთა სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, სხვადასხვა კონფერენციები, ექსკურსიები

და ლაშქრობები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ), თუმცა საგნობრივ კათედრებს ცალკ-ცალკე აქვთ აღნიშნული (მსგავსი) ღონისძიებების გეგმები, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს.

1.7 სკოლის სასწავლო გეგმაში არ არის გაწერილი მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის და საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის). ამით ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. ამ საკითხთან მიმართებაში სკოლის შინაგანაწესში გამოყოფილა თავი „მასწავლებელი ვალდებულია“, რომლის მიხედვითაც - „მოსწავლემ, რომელმაც საპატიო მიზეზით გააცდინა გაკვეთილები, გაუწიოს კონსულტაცია და განუსაზღვროს ვადები გამოტოვებული მასალის ჩასაბარებლად“. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, იმდენად რამდენადაც ეროვნული სასწავლო გეგმით არ არის განსაზღვრული საპატიო და არა საპატიო გაცდენები.

1.8 სკოლაში მოქმედ კათედრებს აქვთ დებულებები და საგნობრივი კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიო. დებულებები განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრების სხდომებზე, მათზე არის დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი, დებულებების დამტკიცების საკითხი შეტანილია 2010 წლის 13 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგში, მაგრამ საბჭოს ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია და შესაბამისად არც გადაწყვეტილება არ მიუღია. საგნობრივი კათედრის თავჯდომარის პორტფოლიო კი საერთოდ არ არის სწორად ნაწარმოები კერძოდ:

ა) პორტფოლიოს არ აწერია რომელი საგნობრივი კათედრისაა;

ბ) კათედრის სემესტრული სხდომის ოქმებში არ არის მითითებული ვინ იყო სხდომის მდივანი;

გ) კათედრის სემესტრული სხდომის ოქმებში არ არის მითითებული კენჭისყრის შედეგები;

დ) კათედრის სემესტრული სხდომის ოქმებზე არ არის სხდომის თავჯდომარის და მდივნის ხელმოწერები.

1.9 კლასების მიხედვით გაწერილია საგნის სილაბუსები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადსხვა რაოდენობის გვერდების მქონე A4 ზომის ნაბეჭდი, აკინძული ფურცლების სახით. სილაბუსებში ძირითადად მითითებულია: თემა, თემის მიზანი, საათების რადენობა და ზოგ შემთხვევაში სახელმძღვანელო. სილაბუსებში არ არის მითითებული სწავლების წინა პირობები, ამოცანები, შედეგები და დამხმარე ლიტერატურა.

1.10 სკოლის მიერ წარმოდგენილ კალენდარული გეგმების ცხრილში არ არის მინიშნებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სქემის რომელი ნაწილი რა საკითხს მოიზარებს. ასევე არეულია ერთმანეთში მიზნები და ამოცანები.

1.11 სკოლას არ აქვს სადამრიგებლო პროგრამა. თუმცა სკოლაში არის დირექტორის მიერ ბეჭედდასმული და ხელმოწერილი დოკმენტი, რომელშიც გაწერილია კლასის დამრიგებლების უფლება-მოვალეობები.

1.12 სკოლა ცდილობს უზრუნველყოს თავისი მოსწავლეები სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ორი სსსმ მოსწავლე, შესაბამისად აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას არ გააჩნია სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამა, იმ მოსწავლეებს კი, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული ნიჭიერებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ დავალებებს.

1.13 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლეებს 10 ქულიანი სისტემით აფასებენ, რომელიც იდენტურია ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმაში მოცემული შეფასების სისტემის. სკოლის დირექციის

განმარტებით შეფასების სისტემის სასკოლო საზოგადოებისადმი გაცნობა ხდება მშობლებისათვის - მშობელთა კრებებზე და მოსწავლეებისათვის - საკლასო ოთახებში ზეპირად, სხვა რაიმე მექანიზმი არ არის. არ მიმდინარეობს შეფასებების მონიტორინგი, განხილვა და შედეგებზე რეაგირება.

1.14 სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ელექტრონულად მეილის საშუალებით. თუმცა, ამ შეფასებების ნახვა შეუძლია სხვა მშობლებსაც, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ სასწავლო გეგმის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს. სკოლაში ასევე არის მოსწავლის დღიურებიც, რომლებიც მოსწავლეთა ნაწილს დააქვს. სკოლის ადმინისტრაციას არ წარმოუდგენია მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის ამსახველი მექანიზმები.

1.15 დირექციის განცხადებით სასკოლო სასწავლო გეგმას სკოლის საზოგადოება ეცნობა მშობელთა კრებებზე, ზოგადი განცხადებებით. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის სხვა რაიმე მექანიზმები არ არის განსაზღვრული და შემუშავებული. ანალოგიურად ხდება ახალი მოსწავლის და მისი მშობლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა. არ არის შემუშავებული სკოლის სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლა განთავსებულია ქ. რუსთავში, XXI მიკრო/რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დაწესებულება ფლობს შენობა-ნაგებობა N1-ს ფართით 1555,2 კვ.მ. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის №20 ოქმის მიხედვით, შპს „ნ&ნ 2000“-მა ავტორიზაცია გაიარა მისამართზე, ქ. რუსთავი, სააკაძის ქ. N3 აღნიშნულ მისამართზე სკოლა შპს „ინსტიტუტი მეტალურგპროექტთან“ დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა 845 კვ.მ ფართს, თუმცა, ვიზიტის დროს, აღნიშნულ მისამართზე დაწესებულებას შეწყვეტილი ქონდა იჯარის ხელშეკრულება.

2.2 სკოლას გააჩნია სტანდარტული სიმაღლის 68,78 კვ.მ. ფართის ოთახი, რომელსაც იყენებენ სპორტულ დარბაზად, სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ფრენბურთი. დარბაზის სიმაღლის და ფართის პარამეტრების გათვალისწინებით შეუძლებელია სრულფასოვნად განხორციელდეს სპორტული აქტივობა. დაწესებულებას ასევე აქვს ფრენბურთის გარე მოედანი, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას.

2.3 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

2.4 შენობაში არის ცენტალური გათბობის სისტემა საბავშვო ბაგა-ბაღისთვის, ხოლო სკოლის საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ინდივიდუალური გაზ-გამათბობლებით.

2.5 დაწესებულებას აქვს 5 სველი წერტილი, აქედან 4 სველი წერტილი (გოგონებისა და ბიჭებისათვის) რომლებიც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ ნორმებს.

2.6 სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევითი გზით გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლას არ აქვს სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან შემდეგი სახელმძღვანელოები: I კლასი: ა) ბუნების სახელმძღვანელო, ავტორი-გ. კვანტალიანი, მ. ბლიაძე გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“; ბ) ინგლისური ენის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მაკმილანი“ დ 1. II კლასი: ინგლისური ენის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მაკმილანი“ დ 2. სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით VII IX და X კლასებში შეტანილია ინგლისური ენის სახელმძღვანელო Open Mind და M-Top Score-გამომცემლობა „მაკმილანი“ ავტორი სტივ ტეილორი. აღნიშნული სახელმძღვანელოები ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში და როგორც ირკვევა სასწავლო პროცესშიც არ

გამოიყენება. სასწავლო პროცესში გამოყენებულია Virjinia Evans Osullivan Neil Click, ხოლო X კლასში იყენებენ New ware ს-5 სახელმძღვანელოს, ლია გოგსაძის ავტორობით.

2.7 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

2.8 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2.9 სკოლას გააჩნია 2 (ორი) შიდა უსაფრთხოების კამერა, ერთი კამერა დამონტაჟებულია სკოლის დერეფანში, ხოლო მეორე სასადილო ოთახში, რომლებიც შესაბამისად ჩართულია და მიმდინარეობს ჩაწერა, ჩაწერის ხანგრძლივობა შეადგეს 48 საათს. სკოლას არ გააჩნია გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები.

2.10 სკოლას არ ყავს მანდატური.

2.11 სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა, ცალცალკე წარმოებს გასული და შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებულია სკოლის დირექტორის ბეჭდით. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამშრომლების პირად საქმეში წარმოდგენილი განცხადებები სამსახურში დანიშვნასთან არ არის გატარებული რეგისტრაციაში მიღების დღესვე და არ არის დასმული მასზე რეგისტაციის ნომერი.

2.12 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მე-10 კლასის ჟურნალში არ იყო შეტანილი აბიტურის მეცადინეობები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები, არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარე დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თუ რა ინფორმაციას არ შეიცავდა სკოლის საათობრივი ბადე. ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ საათობრივ ბადეში მოცემული არ იყო მე-9, მე-11 და მე-12 კლასების შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

სკოლის დირექტორმა ელზა ლეკვეიშვილმა აღნიშნა, რომ სასკოლო პორტფოლიოში დაწესებულებას არ ჰქონდა სრულყოფილი საათობრივი ბადე, რადგან ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავდა მე-9, მე-11 და მე-12 კლასები. სკოლის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ შპს - ნ & ნ 2000-ს ცალკე ჰქონდა შემუშავებული სრულყოფილი საათობრივი ბადე, რომელიც არ ჰქონდათ ჩადებული სასკოლო პორტფოლიოში. ელზა ლეკვეიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი იყო გამოსწორებული. დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, თავიდანვე რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას სასკოლო პორტფოლიოში სრულყოფილი საათობრივი ბადე. სკოლის დირექტორის მოადგილემ ნინო მიქაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასკოლო პორტფოლიოში მოცემული იყო ის საათობრივი ბადე, რომელიც რეალურად ფუნქციონირებდა სკოლაში. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მოითხოვეს სრულყოფილი საათობრივი ბადის წარმოდგენა, თუმცა შპს - ნ & ნ 2000-ის წარმომადგენლებმა ვიზიტის პერიოდში სრულყოფილი საათობრივი ბადე ვერ წარმოადგინეს. დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ვინაიდან აღნიშნული ხარვეზი სკოლას ჰქონდა გამოსწორებული, მოცემული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის.

დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა გაკვეთილების ცხრილში დაფიქსირებული დამატებითი საგნების სწავლების დღეები. სკოლის დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ დამატებითი საგნების სწავლების დღეები მოცემული იყო ცალკე, დამატებითი საგნების ცხრილში. მონიტორინგის ჯგუფის წევრის დავით ჭეიშვილის მოსაზრებით, დამატებითი საგნების სწავლების დღეები მოცემული უნდა ყოფილიყო არა ცალკე, არამედ გაკვეთილების საერთო ცხრილში. დავით ჭეიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ გაკვეთილების საერთო ცხრილში ჩამოთვლილი იყო მხოლოდ დამატებითი საგნების სახელწოდებები. მასში არ იყო მოცემული ინფორმაცია, თუ ვინ ასწავლიდა აღნიშნულ საგნებს. ელზა ლეკვეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ სკოლამ გაიზიარა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა და აღნიშნული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში რუსული ენა ისწავლება მე-3 კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით. შესაბამისად, დაწესებულებამ აღნიშნულ კლასებში რუსული ენა ჩათვალა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანად. სკოლის დირექტორს მოადგილემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სახელმძღვანელოების ნუსხა პედაგოგიური საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული, თუმცა მდივნის შეცდომის გამო, რეგისტრაციის ჟურნალში დამტკიცების თარიღი არასწორად იყო შეტანილი. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული შენიშვნა სკოლის მიერ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ იყო გამოსწორებული.

1.6 ხარვეზთან მიმართებით სკოლის დირექტორმა ელზა ლეკვეიშვილმა განმარტა, რომ კლასგარეშე ღონისძიებები გაწერილი იყო საგნობრივი კათედრების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ შპს - ნ & ნ 2000-მა შეიმუშავა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც აღნიშნული ხარვეზები იყო გამოსწორებული. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის, რადგანაც კათედრებს შემუშავებული ჰქონდათ კლასგარეშე ღონისძიებები.

1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები და რუბრიკები.

1.8 შენიშვნაზე ელზა ლეკვეიშვილმა აღნიშნა, რომ კათედრის დებულებები განხილული და დამტკიცებული იყო საგნობრივი კათედრების მიერ. ყველა მათგანს ჰქონდა სკოლის დირექტორის ხელმოწერა და სკოლის ბეჭედი. მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტის დროს აღნიშნული დოკუმენტაცია იყო ხარვეზიანი, კერძოდ დებულებები არ იყო დამტკიცებული და კათედრების სემესტრული სხდომის ოქმებზე არ იყო სხდომის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერები.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ 1.9 ხარვეზზე სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სწავლების ამოცანები და შედეგები მითითებული ჰქონდათ თემატურ გეგმებში. თუმცა, დაწესებულებამ გაითვალისწინა დაფიქსირებული შენიშვნა და საგნის სილაბუსებში მიუთითა სწავლის ამოცანები და შედეგები. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, მოცემული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის.

სადამრიგებლო პროგრამებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იზიარებდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული შენიშვნა სკოლას გამოსწორებული ჰქონდა, კერძოდ დამრიგებლის უფლება-მოვალეობები შეტანილ იქნა სადამრიგებლო პროგრამაში.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამა. ელზა ლეკვეიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ უკვე გამოსწორებული იყო.

1.14 შენიშვნასთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფის წევრმა დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითოეული მოსწავლის შეფასებების ნახვა შეუძლია სხვა მშობელსაც. მოცემული გარემოება ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იზიარებდა დაფიქსირებულ შენიშვნას. ელზა ლეკვეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ წინა პერიოდში, მშობლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდათ სასკოლო დღიურების მეშვეობით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მშობლების თხოვნით სკოლამ შეიმუშავა მათი ელექტრონული ფოსტით ინფორმირების წესი, თუმცა აღნიშნული მექანიზმი იყო ხარვეზიანი, რადგან მშობლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ ყველა მოსწავლის აკადემიური ნიშნები. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ამჟამად მოცემული ხარვეზი იყო გამოსწორებული. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ მშობლებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეგზავნათ არა მხოლოდ თავიანთი შვილების, არამედ სხვა მოსწავლეების ნიშნებიც. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერმა აღნიშნა, რომ მაგალითად მე-7 კლასის მოსწავლის მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე მისდიოდა მხოლოდ მე-7 კლასის მოსწავლეთა ნიშნები. დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, მოცემული ხარვეზი იყო არსებითი ხასიათის, რადგან მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია არ შეიძლებოდა გამხდარიყო ყველასთვის საჯარო და ხელმისაწვდომი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.15 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სასწავლო გეგმის შეფასების მექანიზმი სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ როდესაც შპს - ნ & ნ 2000 გადიოდა ავტორიზაციის პროცესს, დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2011 წლის 26 და 27 აგვისტოს ქ. რუსთავში სააკაძის ქუჩა №3-ში. სკოლამ 2011 წლის 23 აგვისტოს შეიძინა ახალი შენობა (მის: ქ. რუსთვი, 21-ე მ/რ) და ამავე წლის 24 აგვისტოს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. 2011 წლის 8 სექტემბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ვერ მოხერხდა აღნიშნულ ფართზე შპს - ნ & ნ 2000-ის მართლზომიერი საკუთრების უფლების დადასტურება.

ავტორიზაციის საბჭოს დამთავრების შემდგომ, როდესაც დასრულებული იყო შპს - ნ & ნ 2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა, ელზა ლეკვეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც სკოლას ქ. რუსთავი, 21-ე მ/რ-ში მდებარე ფართზე უდასტურდებოდა საკუთრების უფლება. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექპერტებმა, 2011 წლის 26 და 27 აგვისტოს, შეამოწმეს ქ. რუსთავში სააკაძის №3-ში მდებარე მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2011 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაწესებულებას ავტორიზაციის მიზნებისთვის არ ჩაეთვალა ქ. რუსთავის 21–ე მიკრორაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, შპს - ნ & ნ 2000-ის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნაში სკოლის მატერიალური რესურსის ნაწილში დაფიქსირებული იყო ქ. რუსთავში სააკაძის ქუჩა №3-ში მდებარე შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა ქ. რუსთავში, სააკაძის ქუჩა №3-ში მდებარე ფართით.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ფრენბურთი. დაწესებულება სპორტულ დარბაზად კი იყენებს სტანდარტული სიმაღლის 68,78 კვ.მ. ფართის ოთახს. შესაბამისად, აღნიშნული ოთახის სიმაღლის და ფართის პარამეტრების გათვალისწინებით შეუძლებელია სრულფასოვნად განხორციელდეს სპორტული აქტივობები. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ღია ფრენბურთის მოედანი. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, გარე მოედანზე მხოლოდ ზაფხულის პერიოდში იყო შესაძლებელი სპორტული აქტივობების ჩატარება. შესაბამისად, მისი აზრით, ზამთრის პერიოდში 68 კვ.მ. ფართის ოთახი ვერ უზრუნველყოფდა სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობის სრულყოფილად განხორციელებას.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა შექმნილი სსსმ მოსწავლეთათვის სკოლაში ადაპტირებული გარემო. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს ადაპტირებული გარემო სკოლაში არ იყო, თუმცა ვიზიტის დასრულების შემდგომ სკოლამ დაამონტაჟა პანდუსები. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და ფოტომასალა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას შეძენილი და დამონტაჟებული ჰქონდა გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები. აღნიშნულის დასადასტურებლად, დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

მანდატურთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ 2012 წლის იანვრის თვეში მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს. დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლა მზად იყო მიეღო მანდატური, კერძოდ მისთვის გამოყოფილი ჰქონდათ ცალკე ოთახი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას თავდაპირველად სურდა ერთი მანდატურის აყვანა, ხოლო 2012 წლის სექტემბრიდან დამატებით კიდევ ერთ მანდატურს გაუფორმებდნენ ხელშეკრულებას. ელზა ლეკვეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ 2012 წლის 3 თებერვალს კვლავ მიმართეს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს, რათა დაედოთ ხელშეკრულება. სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მანდატურის სამსახურიდან მიიღო პასუხი, რომლის მიხედვითაც სკოლაში მანდატური შევიდოდა 2012 წლის პირველი მარტიდან.

აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტი. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა დავით ჭეიშვილმა ადგილზე გადამოწმების შედეგად ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - ნ & ნ 2000-სს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურისთვის მიუმართავს 2012 წლის 3 თებერვალს და სკოლა აღნიშნული განცხადებით ითხოვდა 2012 წლის პირველი თებერვლიდან ხელშეკრულების გაფორმებას.

სასკოლო ჟურნალების წარმოებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან სკოლაში არ იყო მე-12 კლასი, ამიტომ არ იყო შეტანილი აბიტურის მასალაც. მე-10 კლასის სასკოლო ჟურნალთან დაკავშირებით კი სკოლის დირექტორამა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ გამოასწორეს დაფიქსირებული ხარვეზი.

გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ სკოლამ შეიძინა ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არ იყო სკოლის ბიბლიოთეკაში. სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დავით ჭეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას შეძენილი ჰქონდა გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა რამდენად იყო ეს წიგნები საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან არ ჩანდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 19:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 20:48 საათზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მათ ჰყავდათ ექიმი, რომელიც სათანადო პირველად დახმარებას აღმოუჩენდა სკოლის მოსწავლეებს. გაინე სიმონიას მოსაზრებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დეტალურად უნდა იყოს შემუშავებული და გაწერილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. დავით კახნიაშვილმა გამარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საჭიროა დაფიქსირებული ხარვეზების კომპლექსური და არსებითი გადამოწმება, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, არა აქვს სხდომის ფორმატში, მითუმეტეს დაფიქსირებულია შენიშვნები, რომლის გამოსწორებაც არ ამცირებს დარღვევის მნიშვნელობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნ & ნ 2000-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებ ულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნ & ნ 2000-სს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას, (გადახდილი აქვს 4750 ლარი).

1.2 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.3 სკოლას არა აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილები, რაც შეეხება პანდუს აქვთ ხის მოძრავი პანდუსები.

1.4 სკოლას არა აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინაარმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.5 სკოლას გააჩნია 4 (ოთხი) უსაფრთხოების კამერა, აქედან ორი კამერა დერეფანშია, ერთი კამერა დამონტაჟებულია სკოლის შესასვლელში, ხოლო ერთი სკოლის შენობის შესასვლელში, რომელითაც კონტროლდება გარე პერიმეტრი, აქედან ორი შიდა კამერა ჩართული არის სკოლის კომპიუტერზე, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ორი კამერის ვიდეომეთვალყურეობა და ვიდეო ჩაწერა სკოლის მიერ არ ხორციელდება, ვინაიდან გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობას ახორციელებს დაცვის პოლიცია, რაზედაც სკოლას გაფორმებული აქვს სათანადო ხელშეკრულება.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში, კერძოდ, XI-ა კლასში ინგლისურის მასწავლებელს (ხათუნა კოშაძე) არ ქონდა სამ მოსწავლეზე ,,არა“ ჩაწერილი, ვიზიტის დროს მათემატიკის მასწავლებელს (თ. ჯანიაშვილი) არცერთ მოსწავლეზე ,,არა“ არ ეწერა, 16 მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა 9 მოსწავლე. ამავე კლასში საკლასო ჟურნალის მიხედვით ფიზიკის მასწავლებელს (ა. ფანცულაია) ნაცვლად სამი გაკვეთილისა ჩატარებული აქვს ერთი გაკვეთილი, (საგნებში: გეოგრაფია, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, ფიზიკა) არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები, ასევე არ იყო შევსებული გაკვეთილების ცხრილის გრაფები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა დავით ზარნაძემ განმარტა, რომ სკოლაში, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია იყო დამონტაჟებული. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2012 წლის 14 თებერვლის მონაცემებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საერთო ღირებულებიდან დაწესებულებას გადახდილი ჰქონდა 9000 ლარი. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა დაადასტურა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში შპს - საბანკო - იურიდიულ ლიცეუმში დამონტაჟებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლას არ ჰქონდა ელექტროენერგიის მიწოდების ალტარნატიული წყარო, თუმცა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ სკოლამ გამოასწორა აღნიშნული შენიშვნა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ გამოსწორებული იყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული 1.3 შენიშვნა, კერძოდ, დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილები.

დავით ზარნაძის განმარტებით, სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინაარმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დავით ჭეიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა უსაფრთხოების კამერების მიერ, თუმცა ვიდეომეთვალყურეობა და ვიდეო ჩაწერა ხორციელდებოდა არა შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის, არამედ დაცვის პოლიციის მიერ. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებულია და 2012 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, ვიდეომეთვალყურეობა და ვიდეოჩაწერა ხორციელდებოდა უშუალოდ სკოლის მიერ.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იზიარებდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ პედაგოგებს, რომლებიც არასწორად აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს, გამოუცხადეს საყვედური. სხდომის თავმჯდომარე დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, მონიტორინგის ჯგუფისვიზიტამდე ჰქონდა თუ არა სკოლის ადმინისტრაციას დისციპლინარული ზომები გატარებული იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც არასწორად აწარმოებდნენ სასკოლო ჟურნალებს. დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, სკოლის ადმინისტრაცია მუდამ აკონტროლებდა მასწავლებლების მიერ სასკოლო ჟურნალების წარმოების სისწორეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - საბანკო - იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

4. შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფისდასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფისდასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფისპოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფისდასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას, რომელიც ნაწილობრივ იყო განთავსებული სამასწავლებლოში;

1.2 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.3 დაწესებულებაში ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებდა, არ იყო სასკოლო სახელმძღვანელოები სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდი და პერიოდიკა, არსებული წიგნები არ იყო დამუშავებული ბიბლოგრაფიული წესების დაცვით.

1.4 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, არაა ადაპტირებული სველი წერტილები, თუმცა დაწესებულებას გააჩნია პანდუსები.

1.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 8 კომპიუტერი. ვებგვერდი, taschod.ge, ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა ვერ მოხერხდა მისი დათვალიერება.

1.6 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინაარმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.7 სკოლას არ გააჩნია უსაფრთხოების კამერები.

1.8 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები და არ იყო შევსებული გაკვეთილების ცხრილი, რიგ საგნებში ჟურნალი ნაწარმოები იყო ფანქრით, მაგალითად VII კლასის გეოგრაფიის მეორე სემესტრის გვერდი. VIII კლასში ხელოვნების მასწავლებელს მარიამ დვალს არ აქვს ნაწარმოები ჟურნალი მეორე სემესტრის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ იყო ლაბორატორიის ნაწილი სამასწავლებლოში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ გაითვალისწინეს შენიშვნა და ლაბორატორიის აღჭურვილობა უკვე განთავსებული იყო ცალკე ოთახში.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას თავად აჩუქა გენერატორი.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ფუნქციონირებდა თუ არა სკოლაში ბიბლიოთეკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, წიგნები ამ ეტაპისათვის უკვე დამუშავებულია ბიბლიოგრაფიული წესების დაცვით და შემუშავებულია ელექტრონული კატალოგი, რისი დამადასტურებელი ფოტო-მასალაც მათ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და სკოლაში არის ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეთათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის ვებგვერდი ვიზიტის დროს მართლაც არ ფუნქციონირებდა, თუმცა სკოლას გააჩნდა ვებგვერდი, რომელიც ამ ეტაპზე გამართულად ფუნქციონირებს.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მოეხსენებინა საბჭოსათვის მისი პოზიცია 1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით და ამასთან, მიმართა კითხვით, სარგებლობდა თუ არა სკოლა მანდატურის სამსახურს მომსახურებით.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მანდატური.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შემუშავებული ჰქონდათ თუ არა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლაში იყო ექიმის კაბინეტი, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად სკოლას ყავდა ექიმი, რომლის ფუნქციები გაწერილი იყო შინაგანაწესსში, ხოლო ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნის გათვალისწინებით, შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში უკვე დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდათ თუ არა მათ უსაფრთხოების კამერები ავტორიზაციი მინიჭების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დააყენა შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის დროს ავტორიზაციის დებულება არ ითვალისწინებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნას და დაწესებულების მიერ უკვე იქნა მიღებული შესაბამისი ზომები, რაც გამოიხატება სამი მასწავლებლისათვის საყვედურის გამოცხადებით.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ სკოლა ვალდებულია გააკონტროლოს ჟურნალის წარმოების წესების დაცვა, დაუშვებელია, რომ რომელიმე მასწავლებელი ჟურნალს ფანქრით აწარმოებდეს. ეს ფაქტი, თავისხმრივ, უარყოფითად მეტყველებს დაწესებულების იმიჯზე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - თბილისის აკადემიური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - თბილისის აკადემიური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

5. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფისდასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ვიზიტის დროს სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა (სკოლა არ ფუნქციონირებს). ცენტრში 2012 წლის 10 თებერვალს შემოვიდა დაწესებულების წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N03-1126), რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლას არ დაუწყია ფუნქციონირება დაგვიანებული სარეკლამო კამპანიის გამო და აპირებს 2012-2013 სასწავლო წელს ფუნქციონირების დაწყებას.

1.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 06.06.2011 წლის N64 ოქმის მიხედვით ა(ა)იპ - საგანმ. კვლევებისა და პროფესიული განვ. ცენტრმა (თავისუფალი სკოლა) ავტორიზაცია გაიარა ქ. თბილისში, დარიალის შესახვევი N5-ში, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტი განესაზღვრა 49 მოსწავლით, ხოლო დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 42 ინდივიდუალური მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით.

1.3 სკოლას არ გააჩნია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა.

1.4 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.5 ბიბლიოთეკას არ გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები.

1.6 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა აქვს ხის პანდუსები, რომელიც იყო დასაწყობებული.

1.7 სკოლას არ აქვს სამედიცინო კაბინეტი, არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.8 სკოლას არ გააჩნია ვიდეომეთვალყურეობის კამერები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის იზიარებს მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილ ხარვეზებს და აღნიშნა, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის დირექტორის განმარტებით, როდესაც დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა მათ, მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მოიპოვეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება, შესაბამისად, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის ფლობა მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ექსპერტის, დავით ჭეიშვილის, განმარტებით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილი რეკომენდაციები 208 ერთეულიანი ლაბორატორიის ფლობა სავალდებულოა ყველა სკოლისათვის, რადგან კანონმდებლობაში არსად ფიქსირდება, რომ დაწყებითი საფეხურის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ სჭირდება აღნიშნული ლაბორატორია.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ ის იცნობს სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობას და მიაჩნია, რომ შესაძლებელია დაწყებითი საფეხურზე მისი გამოუყენებლობა. ამავდროულად, მან დასძინა, რომ საბჭომ დაამკვიდრა ერთაინი პრაქტიკა და იმ სკოლებს, რომლებიც დაწყებით საფეხურზე სურთ განახორციელონ სწავლება და არ ფლობენ სასკოლო ლაბორატორიას, საბჭო ანიჭებს ავტორიზაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება.

სკოლის დირექტორმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მან გაითვალისწინა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული შენიშვნა და წარმოადგინა აღნიშნული საფეხურის ყველა გრიპირებული სახელმძღვანელოს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, გამოსწორდა ხარვეზი თუ არა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, კამერებთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორება სკოლამ ვერ მოასწრო.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოუხედავად იმისა, რომ სკოლას იმ პერიოდში მიენიჭა ავტორიზაცია, როდესაც სტანდარტი კამერებთან დაკავშირებულ მოთხოვნას არ ითვალისწინებდა, ეს არ ათავისუფლებს სკოლას სტანდარტის დაცვისაგან. პირიქით, სკოლამ ფეხი უნდა აუწყოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. მისი განმარტებით, სკოლამ გარკვეული ხარვეზები გამოასწორა, მაგრამ ხარვეზების ნაწილი კვლავ დარჩა გამოსასწორებელი, ამიტომ საბჭოს შესთავაზა, დაწესებულებისათვის 15-დღიანი ვადის განსაზღვრა ხარვეზების გამოსასწორებლად და განუმარტა, რომ სკოლას აღნიშნულ ვადაში უნდა მიემართა ცენტრისათვის და წარედგინა ხარვეზების გამოსწორების შესახებ დოკუმენტაცია. ცენტრის გადაწყვეტილებით, შესაძლო განმეორებითი ვიზიტის შესახებაც გააფრთხილა.

თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრ - თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

6. შპს - სკოლა ოპიზას ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 01 დეკემბრის №383 გადაწყვეტილებით სკოლას მოსწავლეთა კონტიგენტი განესაზღვრა 600 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 531 მოსწავლე.

1.2 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 424 ინდივიდუალური მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით, ასევე 2 ცალი ორადგილიანი მერხით.

1.3 სკოლას გააჩნია სტანდარტული სიმაღლის 80 კვ.მ. ფართის ოთახი, რომელსაც იყენებენ სპორტულ დარბაზად, სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი. დაწესებულებას არ გააჩნია ღია სპორტული მოედანი.

1.4 სკოლა ქ. თბილისში ვარკეთილის მე-8/პლატოს მე-2 მ/რ-ში ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას, რომლებიც ვიზიტის დროს იყო ყუთებში ჩალაგებული.

1.5 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.6 დაწესებულებას ქ, თბილისში, ვარკეთილის 8/პლატო მე-2 მ/რ მისამართზე აქვს 3 სველი წერტილი, ამადგან ორი (გარდა ადაპტირებული სველი წერტილებისა) მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, არ აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ ნორმებს, ხოლო ქ. თბილისი, მუხაძის ქუჩა N15-ში მდებარე შენობას სველი წერტილი აქვს ეზოში.

1.7 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ქ, თბილისში, ვარკეთილის 8/პლატო მე-2 მ/რ მისამართზე, ხოლო ქ. თბილისი, მუხაძის ქუჩა №15 მდებარე შენობაში არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

1.8 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.9 სკოლას გააჩნია ქ, თბილისში, ვარკეთილის 8/პლატო მე-2 მ/რ მისამართზე მდებარე შენობაში 6 (ექვსი) შიდა უსაფრთხოების კამერა, 2 კამერა დამონტაჟებულია სკოლის პირველ სართულის დერეფანში, 2 კამერა - მეორე სართულის დერეფანში, 2 კამერა - მესამე სართულის დერეფანში, ხოლო 2 გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერა არ იყო ჩართული. ასევე არ მიმდინარეობდა კამერების ვიდეო ჩაწერა.

ქ. თბილისი, მუხაძის ქუჩა N15-ში მდებარე შენობაში დამონტაჟებულია 4 შიდა უსაფრთხოების კამერა, 2 კამერა პირველ სართულზე, ასევე 2 მეორე სართულზე, რომლებიც შესაბამისად ჩართულია და მიმდინარეობს ჩაწერა, ხოლო 2 გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები არ აიყო ჩართული.

1.10 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ I-ა, I-გ მე-X-ბ და მე-XII-ბ კლასის ჟურნალებში არ იყო დაფიქსირებული ,,არები" იმ მოსწავლეებზე, რომლებიც გაკვეთილს არ ესწრებოდნენ. ვიზიტის დროს არცერთ საკლასო ჟურნალში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მომხსენებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ შპს - სკოლა ოპიზამ 2012 წლის 13 თებერვალს ცენტრში წარმოადგინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებულია საკლასო ოთახის კარადებში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ უსაფრთხოების კამერების ფუნქციონირების გადამოწმებისთვის საჭირო იყო დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელება, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ვერ დადგინდა, თუ რამდენად გამართულად მუშაობდნენ ისინი.

ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცით ვერ დასტურდებოდა გამოსწორებული იყო თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული 1.6 შენიშვნა, რომელიც ეხებოდა სველი წერტილების სანიტარულ ნორმებს.

დავით კახიაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ ხდებოდა დაწესებულებაში სასკოლო ჟურნალების დარღვევებით წარმოება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პედაგოგს, რომელიც არასწორად აწარმოებდა სასკოლო ჟურნალს, გამოეცხადა საყვედური.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ოპიზას ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - სკოლა ოპიზას ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

7. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, ხოლო ჩოგბურთის მაგიდები განთავსებულია სასადილო ოთახში.

1.2 სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების არასრული კომპლექტაცია, რომელიც არ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებს.

1.3 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.4 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც არის მხოლოდ ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა, წიგნები არ არის თემატურად დალაგებული, ბიბლიოთეკაში არ არის კატალოგი.

1.5 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ: შენობაში, რომელიც მდებარეობს ძირითადი შენობის გვერდით, მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, არაა პანდუსები, ასევე არაა ადაპტირებული სველი წერტილები, თუმცა დაწესებულებას გააჩნია ხის პანდუსები, რომელიც იყო დასაწყობებული.

1.6 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინაარმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.7 სკოლას გააჩნია 16 უსაფრთხოების კამერა, აქედან გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები (ორი ცალი) არ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებს.

1.8 სკოლაში არ მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა, არ აწარმოებენ გასული და შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალებს, სკოლაში საქმის წარმოება არ მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

1.9 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების წარმოება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე და განსხვავებული ფორმებით, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ იყო ჩოგბურთის მაგიდა სასადილოში განთავსებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ერთი წელია რაც გადავიდა ახალ შენობაში. მათ შეიძინეს მიმდებარე ტერიტორია, სადაც იგეგმება სპორტული მოედნის მშენებლობა, შესაბამისად, სკოლას სამომავლოდ ექნება საკუთარი სპორტული მოედანი. ამ ეტაპზე, კი ვინაიდან სასადილო ოთახის ფართი, მისი მოცულობიდან გამომდინარე, იძლოდა საშუალებას, რომ მასში განთავსებულიყო ჩოგბურთის მაგიდებიც, სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, გამოიყენებოდა თუ არა ერთიდაიგივე ოთახი სპორტული აქტივობისა და მოსწავლეთა კვებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული. საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ტიხარი ან სხვა რაიმე სახის გამყოფი კედელი აღმართული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაცული იყო მაგიდებს შორის გარკვეული დისტანცია, თუმცა გამყოფი კედელი ჯერ არ იყო დამონტაჟებული.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა ნებაყოფლობითია, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას ჯერ დაეკმაყოფილებინა სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და შემდგომ ეზრუნა ზოგადსაგანმანათლებლო სტატუსის მოპოვებაზე.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე სრულად აქვს შეძენილი სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა და გააჩნია მოცემულის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა წარმოდგენაც მოხდა საბჭოს სხდომაზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციას გაეცნო მონიტორინგის ჯგუფი.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო და ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ეტაპზე ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, მათ შორის გაკეთებულია ჯიბაკები, რომელიც მონიტორინგის ვიზიტის დროს არ არსებობდა. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, წარმომადგენლის განმარტებით, ტექნიკური საგნები ისწავლება ინგლისურად, შესაბამისად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას ნებართვა აღებული საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან.

წარმომადგენელმა დაადასტურა შესაბამისი ნებართვის არსებობა. აქვე, წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10 %-ს შეადგენდა ქართველი მოსწავლეები.

თავჯდომარის განმარტებით, მიუხედავად მოცემული გარემოებისა, მიზანშეწონილია, სასკოლო ბიბლიოთეკაში იყოს შესაბამისი ქართულენოვანი სასკოლო წიგნები, თუნდაც ერთ ეგზემპლიარად. ეს შესაბამისობაში იქნება როგორც არსებულ საკანონმდებლო რეგულაციასთან, ასევე უზრუნველყოფს ქართულენოვან მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. მაგალითისათვის, თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია სკოლას

არ ჰყავდეს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს დაწესებულებას ვალდებულებისაგან, ჰქონდეს ადაპტირებული გარემო.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ლიცენზირებული ექიმი პედიატრი და შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა მონიტორინგის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას და აღნიშნა, რომ ერთადერთი ხარვეზი უკავშირდებოდა ჟურნალის გვერდების დანომვრას, რაც დაწესებულების მხრიდან განხორციელდა და ამ ეტაპზე ჟურნალის გვერდები დანომრილია.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დიდი ალბათობით წარმოდგენილი ჟურნალები არ არის ერთ დღეში შექმნილი, შესაბამისად, მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ხომ არ იყო მიზანშეწონილი მოცემულ შემთხვევაშიც დაწესებულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა, რათა ამ უკანასკნელს წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომხდარიყო ადგილზე ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი გადამოწმება.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავჯდომარის პოზიციას, შესაბამისად საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 15 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

8. შპს - მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ გააჩნია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, თუმცა ვიზიტამდე ერთი დღით ადრე სკოლას გადახდილი აქვს აღნიშნული ლაბორატორიების შეძენისათვის საჭირო სრული თანხა. (13 800 ლარი).

1.2 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.3 დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდი, მხატვრული ლიტერატურით. ბიბლიოთეკას აქვს წიგნადი ფონდის კატალოგი, აქვს ინვენტარიზაციის წიგნი. წიგნები იყო დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესების სრული დაცვით, თუმცა სასკოლო სახელმძღვანელოები ადგილზე არ იყო და არც მკითხველთა ბარათებში არ იყო შეტანილი მათი ბიბლიოთეკიდან გატანა.

1.4 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

1.5 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინაარმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 სკოლას გააჩნია 3 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, რომლებიც დამონტაჟებულია სკოლი ფართში, აქედან ერთი მათგანი საერთოდ არ იყო ჩართული ქსელში, ხოლო დანარჩენი ორის ვიდეო ჩაწერა და ჩვენება არ მიმდინარეობდა. სკოლას არ გააჩნდა გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის კამერები.

1.7 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები, ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დირექტორის ხელმოწერები და არ იყო შევსებული გაკვეთილების ცხრილი. მე-6ა კლასში ქართულის გაკვეთილზე (მასწავლებელი თამარ დალაქიშვილი) არ იყო ოთხი მოსწავლე, რომლებსაც არ ეწერათ არები, უფრო მეტიც ისინი შეფასებული იყვნენ ქულებით. რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა, იმასთან დაკავშირებით მოხდა თუ არა დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი. დაწესებულების მიერ არჩეულია სპორტის სახეობად ჭადრაკისა და ფრენბურთის გაკვეთილები. სპორტული დარბაზი თბება ბუნებრივი აირის გამათბობელით, ხოლო მოსწავლეთა გასახდელი არ თბება.

1.2 სკოლა არ ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებს.

1.3 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.4 შენობას ნაწილობრივ აქვს ცენტალური გათბობის სისტემა და ინდივიდუალური გაზის გამათბობლები.

1.5 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილები, თუმცა ჰქონდა ხის პანდუსები, რომელიც იყო დასაწყობებული.

1.6 სკოლას ჰყავს ექთანი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინი კაბინეტი. სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინაარმდეგო და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.7 სკოლას გააჩნია 12 (თორმეტი) ვიდეომეთვალყურეობის კამერა, აქედან 1 კამერა დამონტაჟებულია სკოლის ცენტრალურ შესასვლელში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სრულ კონტროლს, ასევე არ ხდება გასული დღეების ვიდეო ჩანაწერების ჩვენება, რაც არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.8 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები, ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დირექტორის ხელმოწერები და არ იყო შევსებული გაკვეთილების ცხრილი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს და ყველა მათგანი იყო გამოსწორებული.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - პრომეთეს ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს სპს - პრომეთეს ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

10. შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას N45-ში, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი №01.14.03.032/001). დაწესებულება ფლობს 502 კვ.მ-ს ფართს. სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება საერთო ჯამში 11 (თერთმეტი) ოთახი. მონიტორინგის ჯგუფი დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს რომლითაც დადასტურდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული საერთო ფართი შედგენს 502 კვ.მ.-ს, ხოლო საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2011 წლის 31 დეკემბრამდე, აღნიშნულიდან გამომდინარე ვიზიტის დროს სკოლას ფართის ფლობა არ უდასტურდება.

2012 წლის 13 თებერვალს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N03-1157) და წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნულმა სკოლამ 2012 წლის 1 თებერვალს სს - "ბიზნესცენტრ სოფშენთან" გააფორმა არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას N 45 მდებარე კორპუსის მე-2 სართულის 552 $მ^2$ ფართზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ხელშეკრულება აისახა საჯარო რეესტრის მონაცემებში და 2012 წლის 13 თებერვლის ამონაწერის თანახმად, სკოლა ფლობს 552 კვ.მ-ს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

1.2 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 34 ინდივიდუალური მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით, ასევე 49 ორ ადგილიანი მაგიდით. აღნიშნული რაოდენობა საკმარისი არ არის მოსწავლეთა ზღვრული ოდენობით გათვალისწინებულ რაოდენობასთან, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 18.08.2011 წლის N142 გადაწყვეტილებით მოსწავლეთა კონტინგენტი განესაზღვრა 125 -ით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლამ, 2012 წლის 10 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება შპს - "ვათა 2008"-თან და შეიძინა 30 მერხი (წარმოდგენილი შესაბამისი სასაქონლო ზედნადები). ამდენად, სკოლა ფლობს 113 მერხს.

1.3 სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი. დაწესებულების მიერ სპორტის სახეობად არჩეულია ჭადრაკი, ოთახში განთავსებულია ჭადრაკის დაფები, თუმცა მათი შეძენის ან ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს.

დაწესებულებამ წარმოადგინა 22 ჭადრაკის დაფაზე გაფორმებული ჩუქების აქტები. აღნიშნული რაოდენობის ჭადრაკის დაფა სკოლამ აიყვანა ბალანსზე.

1.4 სკოლა ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, რომლის ნაწილიც ვიზიტის დროს იყო ყუთებში ჩალაგებული. (სკოლას გადახდილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულებიდან (12 000 ლარი) მხოლოდ ნაწილი 1200 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხას სკოლის დირექტორის განმარტებით გადახდილი იქნება მაისის ბოლომდე, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობითი შეთანხმება არ იქნა წარმოდგენილი).

სკოლამ წარმოადგინა "საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის აღჭურვილობის აღწერილობა", რომლის მიხედვითაც, თითოეულ დასახელბას მიენიჭა ნომერი და გატარდა აღწერილობის ჟურნალში. აგრეთვე, წარმოდგენილია შპს - "ჯეო-დეკოსთან" 2012 წლის 13 თებერვალს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლის თანახმადაც, საქონლის ღირებულების სრული დაფარვა მოხდება 2012 წლის 29 თებერვლამდე.

1.5 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

წარმოდგენილი იქნა 2003 წლის 15 სექტემბრის გენერატორის ჩუქების შესახებ აქტი. სკოლას ნივთი აყვანილი აქვს ბალანსზე.

1.6 ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში არ იყო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული II კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო, IV კლასის მათემატიკის და ინგლისურის სახელმძღვანელო, VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, X კლასისი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო.

წარმოდგენილი იქნა 2012 წლის 4 თებერვლის ხელშეკრულება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებებით, რომლის თანახმადაც, სკოლამ შეიძინა 89 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელოები.

1.7 ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს განთავსებული იყო IX კლასი და მიმდინარობდა გაკვეთილები.

1.8 სკოლას არ გააჩნია ადაპტირებული სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

სკოლამ წარმოადგინა 2008 წლის 31 იანვრის ჩუქების აქტი, რომლის თანახმადაც, სკოლას გადაეცა ადაპტირებული სველი წერილისათვის აუცილებლი აღჭურვილობა. წარმოდგენილი ფოტო მასალით დასტურდება, რომ მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილი.

1.9 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2010 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი.

1.10 სკოლას არ ააქვს 2011/12 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა.

1.11 ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

სკოლამ წარმოადგინა 2011 წლის 29 აგვისტოს დამტკიცებული 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ასლი და 2011 წლის 29 აგვისტოსა და 2011 წლი 26 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების ასლები (პირველი და ბოლო 2 ფურცელი).

1.12 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები, ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლის ხელმოწერები და არ იყო გაკვეთილების ცხრილი შევსებული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის #88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

წარმოდგენილი იქნა 2012 წლის 6 თებერვლის სკოლის დირექტორის ბრძანებები დასაქმებულ პირთა გაფრთხილების მიცემის შესახებ. კონკრეტულ მასწავლებლებს მიეცათ გაფრთხილება საკლასო ჟურნალების მონიტორინგის განუხორციელებლობისათვის

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, სკოლამ ხარვეზები გამოასწორა, თუმცა აღნიშნული გამოსწორებები საჭიროებს ადგილზე განმეორებით შესწავლას, ამიტომ მან საბჭოს შესთავაზა, დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა და დაწესებულება შესაძლო განმეორებითი ვიზიტის შესახებაც გააფრთხილა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - გრიგოლ ხანძთელის ეროვნული სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

11. შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ მარჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა სრულად ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა, რომელიც ვიზიტის დროს ინახებოდა ყუთებში. (ხელშეკრულების საერთო თანხიდან დარჩენილია გადასახდელია 900 ლარი).

1.2 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ალტერნატიული წყარო.

1.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის დაწესებულებაში არ არის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წვდომას ბიბლიოთეკასა და კომპიუტერის ოთახებში, ასევე სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.

1.4 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააარმდეგო მექანიზმები.

1.5 სკოლის დირექციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უსაფრთხოების კამერების ტექნიკური მონაცემები.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ VIII, IX და X კლასების საკლასო ჟურნალებში არ იყო დაჯამებული მიმდინარე ნიშნები და ჟურნალის ბოლოში გაკეთებულ შენიშვნებზე არ იყო დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N88/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის წესს.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გამოასწორდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ ყველა ხარვეზი გამოასწორეს და წარმოადგინეს დოკუმენტაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

ექსპერტის, დავით ჭეიშვილის განმარტებით, ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ალტერნატიული წყარო ფლობა არ დასტურდება დოკუმენტურად.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს შესთავაზა, დაწესებულებისათვის 7-დღიანი ვადის განსაზღვრა ხარვეზების გამოსასწორებლად და განუმარტა, რომ სკოლას აღნიშნულ ვადაში უნდა მიემართა ცენტრისათვის და წარედგინა ხარვეზების გამოსწორების შესახებ დოკუმენტაცია. ცენტრის გადაწყვეტილებით, შესაძლო განმეორებითი ვიზიტის შესახებაც გააფრთხილა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ მარჯის ავტორიზაციის გაუქმების გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ქ. თბილისის მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო საერო სასწავლებელ მარჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

12. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საუბარია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალზე, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის №84/ნ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ავტორიზაციის გასავლელად უნდა მოემართათ 2011 წლის ოქტომბრამდე. ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ მოითხოვა შპს - სარკმელი დაემატებინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული ჩამონათვალში. ცენტრში შემოსული იყო წერილობითი შუამდგომლობა, რის მიხედვითაც დადასტურდა, რომ შპს - სარკმელი არ ფუნქციონირებდა და მისი მოსწავლეები მობილობით იყვნენ გადანაწილებული სხვადასხვა სკოლაში. რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა, რომელთაც 1 ოქტომბრამდე უნდა წარმოედგინათ და არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი.

• შპს - ქუთაისის კერძო სკოლა ახალი თაობა;
• შპს - ,,ილია'' - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება;
• სპს - საერო მრავალპროფილიანი მესამე საფეხურის სკოლა ლია ერქვანია;
• ა(ა)იპ - ინვალიდთა სოციალური დახმარების ფონდი ახალი სიცოცხლე;
• შპს - აია-ჯესი;
• შპს - პითაგორა-2009;
• შპს - ნანა;
• სპს - ბაგრატიონთა სახელობის კერძო სასწავლებელი სემე და - ლუკავა;
• შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა ,,აიეტი'';
• შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
• სპს - ფემიდა;
• შპს - თელავის ერეკლე მეფის სახელობის გიმნაზია;
• ა(ა)იპ - მზრუნველობას მოკლებულ ობოლ და ინვალიდ ბავშვთა სარეაბილიტაციო სასწავლო ცენტრი იმედი;
• შპს - არგო;
• შპს - მარი ბროსეს სკოლა;
• შპს - ცოდნა (212707962).
• შპს - სარკმელი

კენჭისყრა:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც 2011 წლის 1 ოქტომბრამდე არ წარმოადგინეს საავტორიზაციო განაცხადი გაუუქმდეთ ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:37 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი